ფოლიგრაფი მოქსკი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია — თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული. რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს. ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ღამის მორიგის 18—80.

მთავარი კანტორა — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49. ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე. სტამბის ტელეფონი 18—80. ექსპედიციის 5—48.

ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 246 (1791)

დ ღ ი უ რ ი

— გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამუშავებს გერმანიის პრეზიდენტისათვის „განსაკუთრებულ შემთხვევებში" დიქტატორული უფლებების მინიჭების პროექტს.
— უცხოეთის კონსულები შანხაის ნავთსადგურში სამხედრო ზომების გაძლიერებას მოითხოვენ.
— კატასტროფიული მიწისძვრა კაროლინის კუნძულებზე.
— 4 ნოემბერს შეიკრიბება ერთა ლიგის სამანდატო კომისია.
— საფრანგეთის მთავრობამ შეზღუდა საზღვარგარეთიდან სურსათ-სანოვაგის გატანა.
— გერმანიის მთავრობამ საპროტესტო ნოტა გაუგზავნა პოლონეთს.

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენცია

საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები

ამხ. ნ. ბუხარინის მოხსენება კონფერენციის პირველ სხდომაზე

ახალი პერიოდი

(„პრავდა"-ს მოწინავე)

„ამხ. რიკოვის ამ დღეებში გამოქვეყნებული თეზისები სამეურნეო მდგომარეობის შესახებ სახავენ სამეურნეო პოლიტიკის იმ ამოცანებს, რომელნიც აუცილებელია სამეურნეო აღმშენებლობის ახალი საფეხურისათვის.

[illegible]

კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხი

[illegible]

ამხ. ნ. ბუხარინი

...რომ კაპიტალიზმი აღდგენითი პერიოდის დამთავრებას უახლოვდება. მეორე მაჩვენებელი, რომელიც დიდათ დამახასიათებელია მსოფლიო მეურნეობის სხვადასხვა ნაწილებს შორის მსოფლიო კავშირის აღდგენის თვალსაზრისით, მოწმობს იმას, რომ მსოფლიო მეურნეობის საგარეო სავაჭრო აღებ-მიცემა ამ უკანასკნელ წელში იზრდება. მესამე მაჩვენებელი—ვალიუტის გამტკიცებაა. თუ ჩვენ ავიღებთ სხვადასხვა ვალიუტას, რომელთა სიმტკიცე მეტად შერყეა ომმა, დავინახავთ, რომ აქ ადგილი აქვს ერთგვარ კაპიტალისტურ სტაბილიზაციას. უკანასკნელ წელს საერთო მსოფლიო სავალიუტო კურსის დონემ 40 ქვეყანაში საგრძნობლად აიწია. მაშასადამე ერთი მხრით გაიზარდა მსოფლიო წარმოება, მეორე მხრით გაიზარდა საგარეო ვაჭრობა და მესამე მხრით განმტკიცდა ვალიუტა. საშუალოდ ყველა ისინი იძლევა ზრდის მრუდეს.

მაგრამ, ამხანაგებო, კაპიტალისტური თვალსაზრისით ამ დადებით ფაქტებთან ერთად ადგილი აქვს უარყოფითი ხასიათის ფაქტებსაც, რომლებიც ეხებიან საქმის მეორე მხარეს. თუ ფაქტების პირველი რიგი სტაბილიზაციას მოწმობს, მეორე რიგი კი გვაჩვენებს, რომ ეს სტაბილიზაცია არ არის მტკიცე. ეს პირველ ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ კონიუნქტურის რყევას თავისებური ხასიათი აქვს და დეპრესიების და კრიზისების პერიოდს სცვლის მრეწველობის აღორძინების პერიოდი. ომის წინა ხანის ტემპი და ციკლები განვითარებისა, რომლებიც ახასიათებდენ ეგრედ-წოდებულ ნორმალურ კაპიტალისტურ პერიოდს ევროპის ქვეყნებში, გრძელდებოდა გაცილებით უფრო დიდ ხანს, ვიდრე ამერიკაში, სადაც ეს ციკლი უფრო მოკლე ხნის იყო.

ჩვენ ვხედავთ, რომ ომის წინა დროინდელ ხანაში ამ ციკლების დამახასიათებელი სამრეწველო კრიზისების სწორი თანამიმდევრობა ამჟამად სულ სხვა რამით შეიცვალა. კაპიტალისტური წარმოების აღორძინებითი პროცესი მიდის მეტად უსწორ-მასწორო ნახტომებით და მეტად დიდი ტკივილებით. ერთი პერიოდი იცვლება მეორე პერიოდით სულ სხვა თანამიმდევრობით და სხვა სისწრაფით, ვიდრე ეს ხდებოდა ომის წინა დროს. და მართლაც, თუ ავიღებთ მსოფლიო წარმოებას, დავინახავთ, რომ 1919 წელში ის განიცდის დაქვეითებას, 1920-ში აწევას, 1921-ში—მწვავე კრიზისს, 1922—23 წელში ერთგვარ აწევას უაღრესად მწვავე კრიზისით გერმანიაში რურის კონფლიქტის გამო. 1924 წელში ის ხასიათდება წარმოების ერთგვარი დაწევით, 1925-ში—ერთგვარი აწევით, რომელიც თავდება კრიზისით გერმანიაში და, შემდეგ, დეპრესიით ინგლისში. 1926 წლის პირველი ნახევარი ხასიათდება, ერთი მხრივ, გერმანიის კრიზისით და, მეორე მხრივ, ინგლისის საქვანახშირო კონფლიქტით. მაშასადამე ცრუ სტაბილიზაციის მაჩვენებელს მთელი მისი მერყეობის მაჩვენებელს და კაპიტალისტური მეურნეობის არანორმალური მდგომარეობის მაჩვენებელს წარმოადგენს ეს ავადმყოფური მრუდე, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ წააგავს წინადროინდელი კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების მრუდეს.

მეორე—ეს არის მთელი განვითარების ღრმა არათანაზომიერობა ქვეყნების მიხედვით. ჩვენ ვხედავთ, რომ საშუალო მრუდეს, რომელიც ომის წინადროინდელს უახლოვდება, აქვს დიდი განსხვავება, არის „მაკრატელი" ამერიკულ და ევროპიულ მეურნეობის შორის. რამდენადაც თქვენ აიღებთ მარტო ევროპას, იმდენად თქვენ აქ შეხვდებით „მაკრატელს", ერთი მხრივ, ინგლისის და, მეორე მხრივ, ცენტრალური ევროპის განვითარებას შორის. აი სწორედ განვითარების ეს არათანაზომიერება თავისით წარმოადგენს არსებული მდგომარეობის დამახასიათებელ ნიშანს.

თუ ჩვენ ავიღებთ ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც კაპიტალისტური განვითარების მრუდე საერთოდ და მთლიანად სწრაფად მიდის ზევით, ეს იქნება განვითარების მხოლოდ ერთი სახე, რომელსაც ადგილი არა აქვს ევროპიულ ქვეყნებში.

თუ ავიღებთ ინგლისს, ის უკვე თავისით წარმოადგენს ქვეყნის სულ სხვა კატეგორიას, იმ ქვეყნების, რომელნიც განიცდიან მაქსიმალურ დაქვეითებას საკმაოდ სწორი თანამიმდევრობით. ეს დაქვეითება თავის გამოხატულებას პოულობს უაღრესად დაძაბულ კლასიურ დამოკიდებულებაში, საზოგადოებრივ ძალთა უდიდეს გადაჯგუფებაში და ამ ქვეყანაში დღემდე უნახავ სოციალურ-კლასიურ ბრძოლებში. ეს ქვეყნების მეორე ტიპია.

თუ ჩვენ ასე დაუკვირდებით გეოგრაფიული რუქის სხვადასხვა ადგილებს და ავიღებთ ისეთ დიდ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებს, როგორიც არის ჩინეთი და ინდონეზია, მაშინ ჩვენ აქ დავინახავთ არა მარტო სტაბილიზაციის არ არსებობას, არამედ აშკარა სამოქალაქო ომსაც. აი ქვეყნების მესამე ტიპი.

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი საბჭოთა კავშირი. აქ ჩვენ გვაქვს წინმსვლელი, განვითარების გზაზე დამდგარ სოციალიზმის უფრო მკვიდრი სტაბილიზაცია. აი მეოთხე ტიპი.

თუ ავიღებთ საფრანგეთს და გერმანიას, დავინახავთ, რომ იქ უეჭველად მაღლა მიდის კაპიტალისტური სტაბილიზაციის მრუდე. აი, მაშასადამე, ხუთი ჯგუფი ქვეყნებისა.

დაბოლოს, არის ქვეყნების მეექვსე ჯგუფი, რომელშიაც გაერთიანებული არიან სხვადასხვა გვარი სახეობანი. ამ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი ქვეყნები, როგორიც მაგალითად, ჩეხოსლოვაკია, სამხრეთ-სლავია და პოლონეთი, რომელნიც მაგალითად, ერთსა და იმავე დონეზე იმყოფებიან. ცხადია, რომ მათი მდგომარეობა რაღაც თავისებური კრიზისის მდგომარეობაა.

წარმოების კრიზისი და ბაზრების პრობლემა

ჩემის აზრით, აქ ადგილია შეცდომის დაშვება, როგორც ეს ამჟამად ბევრ ჩვენს ამხანაგებს მოსდის. ისინი ამტკიცებენ, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ამჟამად ადგილი აქვს ზედმეტი ნაწარმოების დამზადებით შექმნილ კრიზისს. აქედან ძალიან ადვილად შეიძლებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ კაპიტალიზმმა თავისი განვითარების იმ საფეხურს მიაღწია, როცა ადგილი აქვს კაპიტალიზმის ერთგვარ ნორმალურ კრიზისს, გამოწვეულს ზედმეტი ნაწარმოების დამზადებით, და რომ, მაშასადამე, კაპიტალიზმი უკვე შევიდა თავის საერთო ნორმაში და ვითარდება თავის ჩვეულებრივ კანონების მიხედვით. მე ასეთ თეორიას არ ვიზიარებ. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეეფერება სინამდვილეს.

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ განსხვავება, დისპროპორცია წარმოებასა და მოხმარებას შორის...

...მას წარმოადგენს ბაზრების პრობლემა. თუ იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ ბაზრების პრობლემა ამჟამად ხდება ბურჟუაზიის მთელი ეკონომიური პოლიტიკის ერთ ცენტრალურ პრობლემად, მაშინ სრულიად ბუნებრივია, რომ აქედან უნდა დაიძრას თვითღირებულების დაკლებისა და რაციონალიზაციის ტალღა.

ამ პროცესს აქვს სრულიად სხვადასხვა ფორმა. მნიშვნელოვან ფორმას აქ წარმოადგენს: პირდაპირი ზედდაწოლა მუშათა კლასზე, შრომის ორგანიზაცია, რომელიც, ამასთან ერთად შრომის დიდ ნაყოფიერებას უზრუნველყოფს, და, ბოლოს, სხვადასხვა ტექნიკური გაუმჯობესება. ამასთან დაკავშირებულია ის გარემოება, რომ ამჟამად ჩვენ განვიცდით წარმოების არაჩვეულებრივ ინტენსიურ ტრესტიფიკაციის, არაშემოსავლიან წარმოებათა შემცირების და სხვა...

[illegible]

კომინტერნის ხუთი ამოცანა

წინამდებარე ანალიზიდან გამომდინარეობს ხუთი მთავარი ამოცანა, რომლებიც პირველ რიგში უნდა გადიჭრას.

პირველი შეეხება ჩინეთის რევოლიუციის გზებს. ის თამაშობს არსებით როლს კაპიტალისტურ სტაბილიზაციასთან დაკავშირებით. თვით ფაქტი ჩინეთის რევოლიუციისა და შეერთებული რევოლიუციონური ჯარების გამარჯვებული მსვლელობა არის უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტორი.

[illegible]

კონფერენციის მეორე სხდომა

პირდაპირი მავთულით

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან

27 ოქტომბერს, დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო.

[illegible]

ჩვენი ტემპი—10-15 პროც.—მეტი—სრულიად განსაკუთრებული ზრდაა, რომელიც არ იცის არც ერთმა ქვეყანამ.

შემდეგ, ამხ. რიკოვი შეეხო საკითხს მრეწველობის დაკავშირების შესახებ სასოფლო მეურნეობასთან და ოპოზიციის შეცდომებს, რომლის შემდეგ გამოაქვეყნა ახალი, მეტად საინტერესო ციფრები გლეხობის ფენებად დაყოფის შესახებ, საიდანაც აშკარად სურათდება ის, თუ როგორ გააუმჯობესეს თავისი მდგომარეობა გლეხობის საშუალო მასამ და ზოგიერთმა ღარიბესმა ნაწილმა; მაგრამ ამ ძირითად პროცესთან ერთად ვითარდება ზოგიერთ ღარიბებს...

...ეს იყვნენ დამარცხება მართლაც უზრუნველყოფილია! იყო პორაჟენცი იმპერიალისტური ომის დროს—ეს იმას ნიშნავს, რომ იყო კარგი რევოლიუციონერი, ბოლშევიკი კომუნისტი. სულ სხვა საქმეა, იყო პორაჟენცი მაშინ, როცა სწარმოებს წარმატებითი ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ სოციალისტური საზოგადოების მოწყობისათვის.

ამით დაასრულა ამხ. რიკოვმა თავისი საინტერესო მოხსენება, რომელიც დაიფარა მთელი კონფერენციის ხანგრძლივი ტაშით.

მიხ. კახიანი.

მოსკოვი, 28 ოქტომბერი

მიღებულია დილის 5 საათზე.

რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა

ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო

ამხანაგ ბუხარინის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია მის მოხსენების გარშემო და აგრეთვე ტექსტი გერმანიის კომუნისტური პარტიისადმი გასაგზავნ მიმართვისა. (ხმის მიცემის დროს თავი არავის შეუკავებია).

„მოისმინა რა ამხანაგ ბუხარინის მოხსენება, მეხუთმეტე პარტკონფერენცია...

...არიან კომუნისტური ინტერნაციონალიდან, მაგრამ რომელთაც ჰყავთ თავიანთი მომხრეები კომპარტიაში ვებერისა და სხვების სახით.

კონფერენცია წინადადებას აძლევს საკავშირო კომპარტიის დელეგაციას—გაატაროს კომუნისტურ ინტერნაციონალში კომპარტიების შემდეგი ბოლშევიზაციის ხაზი, რომელიც უარყოფს...

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის კომპარტიის ცეკას მისალმება კონფერენციისადმი

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. პარტკონფერენციის საღამოს სხდომაზე, 26 ოქტომბერს, ამხ. ბუხარინის მოხსენების გათავების შემდეგ, ამხ. რასკოლნიკოვმა წაიკითხა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმების წერილი, რომლითაც მიმართავს ის მე-15-ტე პარტკონფერენციას:

„ძვირფასო ამხანაგებო! შეთანხმებული ბრძოლა, რომლის წარმოება ამ უკანასკნელ თვეებში საჭირო გახდა უკიდურეს-მემარცხენე ოპოზიციის ფრაქციული, გამთიშველი მუშაობის წინააღმდეგ როგორც საკავშირო კომპარტიის (ბ), ისე გერმანიის კომპარტიის შიგნით, გვაიძულებს მივაქციოთ თქვენი ყურადღება იქითკენ, თუ რა შედეგებს მოიტანს ზინოვიევის და ტროცკის მეთაურობით წარმოშობილი ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკა როგორც შინაპარტიულ ცხოვრებაში, ისე ჩვენი პარტიის რევოლიუციონურ მუშაობაში და გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ჩვენი მოსაზრება, როცა თქვენ გადაწყვეტილებების გამოტანას შეუდგებით.

კომინტერნის აღმასკომის მიერ ჩვენი პარტიისადმი გამოგზავნილი წერილის შემდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ულტრა-მემარცხენე ხელმძღვანელთა გადაყენება, ჩვენს პარტიაში დაიწყო შინაგანი კონსოლიდაციის პროცესი და მუშაობის გაძლიერება პროლეტარულ მასებში.

კომინტერნის მე-6-ე გაფართოებულმა ...

... ლესობა გადაჭრით მიემხრო ლენინურ პოლიტიკას, რომლის კონკრეტულ გამოხატულებას პროლეტარული რევოლიუციის ეხლანდელ ხანაში წარმოადგენენ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-14-ე პარტყრილობის და ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებები. ზინოვიევის და ტროცკის მეთაურობით შექმნილ ოპოზიციურ ბლოკის გერმანელი მოკავშირეები, რუსეთის საკითხის გარშემო დისკუსიას ამყარებდენ საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა უმართებულოდ გამოყენებაზე.

როცა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა მუშათა მეორე დელეგაცია, რომელიც მიტინგებზე თავგამოდებით იცავდა გერმანიის პროლეტარიატის კავშირს რუსებთან, სოციალისტურ მშენებლობას საბჭოთა კავშირში, ტროცკისტულ ბლოკის, გერმანული მოკავშირეები სამარცხვინო ცილისწამებას ავრცელებდენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პარტიის შიგნით და მის გარეშე. საჯარო მასიურ კრებებზე, სადაც რუსეთში ნამყოფი სოციალ-დემოკრატები აღფრთოვანებით ლაპარაკობდენ პროლეტარიატის დიქტატურის მიღწევებზე, გერმანელი ულტრა-მემარცხენეები შეუერთდენ „კ. რ. პ. გ.“-ს (ანარქისტულ და აშკარა ანტიბოლშევიკურ ჯგუფს) და შეეცადენ რუსეთიდან დაბრუნებულ სოციალ-დემოკრატ დელეგატების ანგარიშები სიცრუეთ და სიყალბედ მოენათ- ...

[illegible]

კონფერენცია—გერმანიის კ. პ. ცეკას

[illegible]

მუშებისა და სტუდენტების დემონსტრაციის დახვრეტა შანხაიში

ინგლისის თემთა პალატამ კიდევ ერთი თვით გააგრძელა საგანგებო წესები

სისხლის მღვრელი შეტაკება პოლიციასა და მემადაროებს შორის.—დემონსტრაციები შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ

ელჩთა კონფერენციამ უარი უთხრა ლიტვის მთავრობას ვილნოს რაიონის დაბრუნებაზე

მუშებისა და სტუდენტების დახვრეტა შანხაიში

საკონსულო კორპუსის თხოვნა

პეკინი, 26 ოქტომბ. საკონსულო კორპუსმა შანხაიში თხოვნით მიმართა დიპლომატიურ კორპუსს პეკინში, გაადიდოს სამხედრო გემების რიცხვი შანხაიში.

გაზეთები ადასტურებენ ცნობას პროვინცია ჩჟე-ცზიანის სამხედრო გუბერნატორის, სიაო-ჩაოს გაქცევის შესახებ. სიაო-ჩაომ ჩჟე-ცზიანი გამოაცხადა დამოუკიდებელ პროვინციად და შეუერთდა კანტონელებს.

იგივე გაზეთები ადასტურებენ ცნობას ხან-ჩჟოუში სუნ-ჩუან-ფანის ჯარების შესვლის შესახებ.

სტუდენტთა და მუშათა დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბ. ამერიკული გაზეთების შანხაელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ 10.000 სტუდენტმა და მუშამ, რომელნიც კანტონელებს თანაუგრძნობენ, შანხაიში მოაწყვეს დემონსტრაცია სუ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ. დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის მოხდა შეტაკება. ჩინელმა და ფრანგმა პოლიციელებმა დემონსტრანტებს დაუწყეს სროლა, რომლის დროს რამოდენიმე კაცი მოკლულ იქნა.

იან-სენი კანტონელების წინააღმდეგ

პეკინი, 27 ოქტომბ. გაზეთების ცნობებით, პროვინცია ხუბეისა და ხენანის საზღვარზე უელტეხილთან განახლდა სამხედრო ოპერაციები.

იმავე გაზეთების ცნობით, სიჩუანისა და გუიჩჟოუს ფრონტებზე გენერალ იან სენმა გაილაშქრა კანტონელების წინააღმდეგ და სამხედრო ოპერაციებს აწარმოებს პროვინცია გუიჩჟოუს ჯარების წინააღმდეგ.

პროვინცია ფუ-ცზიანში კანტონის ჯარები გამარჯვებულნი მიიწევენ წინ.

21 ოქტომბერს კანტონის ჯარებმა აიღეს ნიან-ცზინი, პროვინცია ფუ-ცზიანის სამხრეთ მხარეში. კანტონის ჯარების შემდეგი წინსვლა გრძელდება ლუნ იანისაკენ, ნან-ცზინიდან ჩრდილო-დასავლეთით.

ხმები საზავო მოლაპარაკების შესახებ

პეკინი, 26 ოქტომბ. გაზეთების ცნობებით, სუნ-ჩუან-ფანსა და ჩან-კაი-შის შორის სწარმოებს საზავო მოლაპარაკება.

პოლონეთის ნოტა

ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გამო

მოსკოვი, 27 ოქტ. პოლონეთის საქმეთა რწმუნებულმა მოსკოვში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩააბარა პოლონეთის მთავრობის ნოტა, 28 სექტემბერს დადებულ ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გამო. ამ ნოტაში პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულება ეხება რიგის ხელშეკრულების მე-2 მუხლით დაწესებულ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრიდან დასავლეთით მდებარე ზოგიერთ მიწებს, რომლებიც, პოლონეთის მთავრობის აზრით, წარმოადგენენ პოლონეთის ტერიტორიის უდაო ინტეგრალურ ნაწილს.

შემდეგ ნოტაში ნათქვამია, რომ თანახმად რიგის ხელშეკრულების მე-3 მუხლისა, საბჭოთა კავშირის მთავრობამ უარი სთქვა ამ მიწებზე მისი უფლებებისა და პრეტენზიების წამოყენებაზე და განაცხადა, რომ თუ ამ მიწების შემადგენლობაში შედიან პოლონეთსა და ლიტვას შორის სადავო ტერიტორიები, მაშინ საკითხი ტერიტორიების ამ ორ სახელმწიფოდან ერთ-ერთისათვის მიკუთვნების შესახებ შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთისა და ლიტვის კომპეტენციას.

პოლონეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ლიტვას მთავრობის ინიციატივით, რომელსაც პოლონეთის მთავრობა შეუერთდა, ამ ტერიტორიების უფლებრივი და პოლიტიკური მდგომარეობა გადაწყვეტილი იყო ელჩთა კონფერენციის დადგენილებით 1923 წლის 15 მარტის თარიღით, რომელიც სავალდებულოა როგორც პოლონეთისა, ისე ლიტვასათვის და არავითარ საერთაშორისო აქტით ამ ერთ რომელიმე სახელმწიფოს მონაწილეობით ის არ შეიძლება გახდეს საკვლევ ან და განხილვის საგნად“.

სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამ ნოტაზე მოკლე ხანში გაუგზავნის პასუხს პოლონეთის მთავრობას.

ზალესსკის განცხადება

ვარშავა, 26 ოქტომბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში საგარეო საქმეთა მინისტრმა ზალესსკიმ განაცხადა:

„ვიშინსკის მიერ ჩიჩერინისათვის გადაცემული პოლონეთის ნოტა ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ ... [illegible]

... თის სამშვიდობო პოლიტიკის გულწრფელობის და ნაკარნახევია აგრეთვე ჩვენი ძალების შეგნებით. პოლონეთი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მის კანონიერად კუთვნილ მიწებზე გამოდავება ყოველნაირ პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებულია. მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ საბჭოთა ... [illegible]

ინგლისელ მემადაროთა გაფიცვა

[illegible]

რეგულიარული დახმარება გაფიცულებს

[illegible]

ნიადაგს ამზადებენ

[illegible]

ცილისწამებისათვის

[illegible]

გერმანიის პროტესტი

[illegible]

საკოს და ვანცეტის საქმე

[illegible]

ვილნოს საკითხი

[illegible]

კატასტროფული მიწისძვრა

[illegible]

ღამის ცნობები

[illegible]

დასკვნები

[illegible]

27 ოქტომბრის დილის სხდომა

[illegible]

ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო

[illegible]

ამხ. ბუხარინის საბოლოო სიტყვა

[illegible]

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ოპოზიციის წინააღმდეგ
(ქიათურა)

22 ოქტომბერს, სღ. 6 საათზე, ქიათურის მუშათა ცენტრალურ, ამხ. სტალინის სახელობის კლუბში, შესდგა ქიათურის სამრეწველო რაიონის: შავი-ქვის რონოდ. მტვ. მუშების, საზ. „ქართული მარგანეცი"-ს, დარკვეთის, სავაჭ. მყოფოს, ქიათურის რკინის გზის, საბჭოთა მუშაკების, კომუნ. მეურნ. განყოფილების, რგანის ღელის, „მეხერა"-ს, „კარუტო"-ს № 7, „კარუტო"-ს № 57, პერევისის კომუჯრედების გაერთიანებული კრება, სრულიად საქართველოს ...თანავე ერთად, მიმართულია გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის გაწყვეტისაკენ, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის მთავარი დასაყრდენია.

ლენინური ცეკა მტკიცეთ ატარებს ცხოვრებაში მე-14-ტე პარტ-ყრილობის დადგენილებებს და დირექტივებს და მიჰყავს საბჭოთა ხელისუფლება ამხ. ლენინის მიერ ნაჩვენები სწორი გზით. დღეს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში, როცა პარტიის წევრთა ერთ ნაწილს ...

...ლისუფლება ლენინის პარტიის და მის ცეკას ხელმძღვანელობით, წარმოადგენს სოციალიზმის გამარჯვების საწინდარს.

„ახალი ოპოზიციის" ხაზი ჩვენი მეურნეობის მიმართ და მის მიერ წამოყენებული მოსაზრებანი, როგორიცაა სამრეწველო საქონელზე ფასების აწევა, გლეხობაზე გადასახადის გადიდება არსებითად არ არის სწორი და იკვებება ტროცკისტული თეორიით, რომელიც გამომდინარეობს ბოლშევიკური პარტიისა და პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალაში და სოც. რევოლ. გამარჯვებაში რწმენის დაკარგვიდან და ამას...

...ბი, რომელთა გატარებას მოითხოვს პარტიის მთლიანობის და მისი რკინისებური დისციპლინის ინტერესები.

გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიის კოლექტიურ ხელმძღვანელს—ლენინურ ცეკას!

ძირს ჯგუფები და ფრაქციები მონოლიტურ ბოლშევიკურ პარტიაში.

კრებამ დაადგინა: გაეგზავნოს შესაფერისი მიმართვა საქ. კ. პ. მე-15-ტე პარტ-კონფერენციას.

არ გვცალია დისკუსიისათვის
(სიღნაღი)

კომპარტიის ქალაქ სიღნაღის ორგანიზაციის აქტივის გაერთიანებულმა კრებამ, მოისმინა რა მან მოხსენება ამხ. მ. ვარამაშვილისა შინაპარტიულ მდგომარეობაზე, ერთხმად იწონებს და უერთდება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულ იქნა შინაპარტიულ მდგომარეობის განსამტკიცებლათ, და პარტიის შიგნით ყოველგვარი ფრაქციულობის და მავნე დისკუსიის ალსაკვეთად; კრება სთვლის, რომ ახალ გაერთიანებულ ოპოზიციის გამოსვლას შეუძლია შეაფერხოს ჩვენს ქვეყანაში დაწყებული სოციალისტური აღმშენებლობა, და ხელი შეუწყოს საბჭოთა ქვეყნების შინაური და გარეშე მტრების დარაზმვას.

არა ნაკლები დამღუპველი ხასიათისაა ოპოზიციის გადახრები სამეურნეო დარგში.

პარტიას არ შეუძლია მიიღოს ოპოზიციის წინადადებები ქალაქის ნაწარმოებებზე ფასების აწევის და გლეხკაცობაზე ახალი გადასახადების გაწერის შესახებ.

კრება აღიარებს, რომ ოპოზიციის ახალი გამოლაშქრება პარტიის ცეკას წინააღმდეგ არის ლენინიზმის რევიზია და პარტიის გადაყვანის ცდა, საერთაშორისო და შინაური პოლიტიკის კითხვებში ტროცკისტულ პლატფორმაზე.

ოპოზიციამ განიცადა სასტიკი დამარცხება ძირითად უჯრედებში, რაც ამტკიცებს ჩვენი პარტიის რკინისებურ მთლიანობის შეურყევლობას...

კრება ერთხმად უერთდება ამ დღეებში დასრულებულ საქართველოს ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის გადაწყვეტილებებს, საქართველოში ოპოზიციონურად განწყობილ თითო ოროლა უდისციპლინო ამხანაგების მიმართ. კრება აღიარებს, რომ ის ბოლშევიკურ პირდაპირობით შეუწყობს ხელს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს პარტიის სიმტკიცისა და მთლიანობის უზრუნველყოფის საქმეში.

კრება სიხარულით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ოპოზიციის ბელადებმა, (ზინოვიევი, ტროცკი, კამენევი, სოკოლნიკოვი და სხვ.) უკვე აღიარეს თავიანთი შეცდომა და პირობა დასდეს პარტიის წინაშე ფრაქციული მუშაობის უარყოფის შესახებ.

ჩვენ ვგმობთ ახალი ოპოზიციის ცდას თავზე მოახვიოს პარტიას მავნე დისკუსია.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, შრომის ხელფასის გადიდება, საცალო ფასების დაკლება, სასოფლო-მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის გაძლიერება, მომჭირნეობის დაცვა და სხვა. —აი ის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში სასოფლო მეურნეობის აღორძინება-განვითარებას და მრეწველობის ინდუსტრიალიზაციას.

ამ მიმართულებით პარტიას აურაცხელი დაბრკოლებები აქვს დასაძლევი და მას არ სცალია და არც სურს აწარმოოს დისკუსია.

გაუმარჯოს ლენინის პარტიის სიმტკიცეს!
ძირს ოპოზიცია და ფრაქციული ჯგუფები!

ბიუროების გადარჩევა

ამხ. ორჯონიკიძის სახ. მექან. საარტი ლერიო ქარხანაში (ყოფ. არსენალი)

ბიუროს გადარჩევამ ქარხანაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პარტიულ მასის მხრივ. სხდომებს დასჭირდა სამი დღე. დღის წესრიგში დასმული იყო სამი საკითხი: ბიუროს ანგარიში, ქარხნის მმართველის მოხსენება ქარხნის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ და ბიუროს გადარჩევა.

ბიუროს 6 თვიანი მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა კომუჯრედის პას. მგ. ...

...ჯობესება ქარხკომის ფარქლიის მუშაობისა, გაუმჯობესება ჯგუფ-ორგანიზატორების მუშაობისა და სხ.

აღნიშნული იყო აგრეთვე დეფექტები, სუსტი აღმზრდელობითი მუშაობა ნებაყოფლობითი საზოგადოებების წევრთა შორის, სუსტი კავშირი სამხედრო უჯრედთან, მოვალეობათა არა სწორი განაწილება უჯრედის წევრთა შორის, სუსტი ხელმძღვანელობა კომკავშირის უჯრედში ...

...

მოხსენების შემდეგ კამათში გამოვიდა 23 ამხანაგი, რომელთა გამოსვლას განსაკუთრებული საქმიანი ხასიათი ჰქონდა.—დაწვრილებით გაშუქდა ყველა საკითხები. კამათის შემდეგ არჩეული იყო კომისია, რომელმაც გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალ მუშაობაში სახელმძღვანელოდ.

მიღებული იქნა რეზოლიუცია, სადაც ბიუროს მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად. აღნიშნული იყო აგრეთვე მიღწევანი: აქტივობის სწრაფი ზრდა, ზრდა ინტერესისა ფართო მასის ყოველდღიურ საკითხებისადმი. (პარტიული, პროფესიონალური, საამშენებლო და სხ.) დისციპლინის გაუმჯობესება უჯრედში, გაუმ...

...კუთრებული ყურადღება.

შემდეგ მოსმენილი იქნა ქარხნის მმართველის მოხსენება ქარხნის მდგომარეობის შესახებ, ამ მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა 15 ამხანაგი.

კამათის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, სადაც ქარხნის დირექტორის მუშაობა ჩათვლილია სწორად და დამაკმაყოფილებლად, რაც გამოიხატა, მომჭირნეობის რეჟიმის სწორად გატარებაში, არა საწარმოო ხარჯების საგრძნობლად შემცირებაში, რის მიოხებითაც შექმნილია პირობები წარმოების სწრაფი ზრდისათვის მომავალში და სხვა. უჯრედმა მიუთითა ადმინისტრაციას, რათა მომავალში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საწარმოო თათბი...

დახმარება მიწისძვრით დაზარალებულთ

ლენინაკანში

ქალაქის განტვირთვა

ლენინაკანი, 27 ოქტომბერი. ქალაქის განტვირთვისათვის გზათა უფროსი ივანოვი დათანხმდა 8.000 შეღავათიან ბილეთის გაცემაზე. აქედან ნახევარი გაცემული იქნება 50 პროც. და 75 პროც. შეღავათით.

სწავლის შეწყვეტა

ლენინაკანი, 27 ოქტომბერი. საგანგებო კომისიამ დაადგინა სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყვიტოს 2 თვის ვადით და სასწავლებლების შენობები პირველ რიგში დაეთმოს მობილიზაცია ქმნილ მუშაკების ოჯახებზე და შემდეგ მუშა-ხელოსნებზე, რომელნიც სამუშაოთ არიან გაწვეული, ეს ღონისძიება გაანთავისუფლებს 59 დიდ ოთახს, რომელშიაც თვითეულში შეიძლება 25 კაცის მოთავსება.

ტეხნიკურ ძალების მობილიზაცია

ლენინაკანი, 27 ოქტომბერი. ტეხნიკურ ძალების სიმცირის გამო ერევანში მივლინებულ იქნა ინჟენერი მანანდიანი სომხეთის ტეხნიკურ ძალების მობილიზაციის მოსახდენათ.

სამუშაო ხელფასის გასტუმრება

ლენინაკანი, 27 ოქტომბერი. ყველა მუშებს და მოსამსახურეებს მიეცათ სამუშაო ხელფასი 1 ნოემბრამდე.

მიეცემათ აგრეთვე ავანსი ერთი თვის ჯამაგირი.

კათალიკოსის თანაგრძნობა

ლენინაკანი, 27 ოქტომბერი. გუშინ ამხ. ერზიკიანს წარუდგა კათალიკოსის წარმომადგენელი, რომელმაც კათალიკოსის სახელით თანაგრძნობა განუცხადა მომხდარ კატასტროფის გამო და საგანგებო კომისიის განკარგულებაში გადასცა 500 მანეთი.

დახმარება დაზარალებულთ

10.000 მანეთი წითელ ჯვრისაგან

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. წითელი ჯვარისა და წითელ ნახევარ-მთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა წითელი ჯვარის სომხური საზოგადოების სახელზე შეიტანა 10.000 მან. ლენინაკანში მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

25.000 მან. დაზარალებულთ

ლენინაკანი, 27 ოქტომბერი. ლენინგრადის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესაგან მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ლენინგრადის საბჭოს პრეზიდიუმი ლენინგრადის მუშათა სახელით გიცხადებთ მხურვალე ძმურ თანაგრძნობას სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ სომხეთის მუშებსა და გლეხებს და ამასთანავე გიგზავნით 25.000 მან. დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად.

ჩვენ გამოვსთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ლენინაკანისა და სომხეთის მშრომელნი მთელი კავშირის მუშებისა და გლეხების ამხანაგური დახმარებით სულ მოკლე ხანში მოუღებენ ბოლოს სტიქიურ უბედურობით გამოწვეულ გაჭირვებას.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კონდრატიევი".

ეჩმიაძინის პირველი დახმარება

ლენინაკანი, 27 ოქტომბერი. ეჩმიაძინის აღმასკომმა მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენათ გაგზავნა ერთი რონოდა ხორბალი.

დარალაგეზის აღმასკომის დახმარება

ლენინაკანი, 27 ოქტომბერი. დარალაგეზის სამაზრო აღმასკომი დაზარალებულთა დასახმარებლად ჰგზავნის 2.000 მანეთს. დაარსებულ იქნა დაზარალებულთა დამხმარე სამაზრო კომიტეტი.

ხადილისა და პურის დარიგება

ლენინაკანი, 27 ოქტომბერი. 26 ოქტომბერს სომხეთის წითელ ჯვარმა სოფ. დაარლის და ოსმალეთის კარაკლისის მცხოვრებთ დაურიგა 1.000 ხადილი და სულზე გირვანქა ნახევარი პური.

დასაზღვევი თანხები

ლენინაკანი, 27 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრულია საკითხი სახელმწიფო დამზღვევ სამმართველოს მიერ დასაზღვევ თანხების გადახდის შესახებ, რომელიც 5 მილიონ მანეთს შეადგენს. აღძრულია აგრეთვე საკითხი, ერთი თვის ვადით მორატორიუმის დაწესების შესახებ.

ობლების წვლილი

ლენინაკანი, 27 ოქტომბერი. ამერკომის 120 მოზრდილმა ობოლმა სურვილი განაცხადა დაეხმარონ დანგრეული სოფლების გლეხებს აღმშენებლობის საქმეში.

ობლები იგზავნებიან სამუშაოდ მიწური სახლების აგებისათვის. ამასთანავე ამერკომი მათ მიაწვდის წერაქვებს, ნიჩბებს, კარვებს და სურსათს.

ზარალის გამოკვლევა

ლენინაკანი, 26 ოქტომბერი. სწარმოებს ზარალის გამორკვევა. სოფლების აღრიცხვას მოახდენს 60 აღმრიცხველი, რომელნიც მუშაობას დაამთავრებენ სამი დღის განმავლობაში. ქალაქში მუშაობს 50 აღმრიცხველი, რომელნიც მუშაობას 7 დღეში მოათავებენ. წინასწარი გამოკვლევით, სოფლებში დაზარალდა 7.000 მეურნეობა, ქალაქში 18.000.

რა მდგომარეობაშია სომხეთის რკინის გზა
(საუბარი ამხ. ივანოვთან)

გუშინ ლენინაკანიდან თბილისში ჩამოვიდა ა.-კ. რკინისგზათა გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ივანოვი, რომელმაც გადმოგვცა შემდეგი:

სომხეთის რკინის გზის ხაზი შედარებით ნაკლებათ დაზიანდა მიწის ძვრისაგან. შენობათა შორის დაინგრა არაგჩის და ბაინდურის რკ. გზ. სადგურების შენობები. მიწის ძვრას არ შეუფერხებია მატარებელთა მიმოსვლა.

დაზიანდა რკ. გზ. გვირაბი მე-163 ვერსზე. ლენინაკან-აგინს შორის დაინგრა რკინისგზელთა საცხოვრებელი ძველი ყაზარმა და 2 სადგურის შენობა.

უბინოთ დარჩენილია 1000 რკინისგზელის ოჯახი. მიღებულია სასწრაფო ზომები მათთვის ...ა 100.000 მანეთი. ამის შესახებ აღძრულია შუამდგომლობა გზათა სახ. კომისარიატის წინაშე დამატებით დახმარების გასაცემათ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა მალე იქნება აღდგენილი.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა მდგომარეობაშია ოსმალეთის რკინის გზა, ამხ. ივანოვმა განაცხადა შემდეგი:

„პირდაპირი კავშირი და ცნობები ოსმალეთიდან არა გვაქვს. ჩვენი გზა საზღვრამდე შეკეთებულია. წამოსვლის წინ ვინახულე ოსმალეთის რკ. გზ. უფროსი რომელიც ჯერ ვერ ბრუნდება ოსმალეთში, გზების უვარგისობის გამო. ...

...

რომელიც შესდგა გუშინ, მოსმენილ იქნა სხვადასხვა დამხმარე კომისიების მოხსენებები. ბინების ვარგისიანობის გამომკვლევი კომისია მუშაობას განაგრძობს. მან უკვე დაამთავრა დაწესებულებათა შენობების დათვალიერება. ბინების დათვალიერების ტემპის დასაჩქარებლად გამოწვეულია დამატებით ტეხნიკური პერსონალი. მოსახლეობა კვლავ ბანაკებში იმყოფება. მცირეოდენი ნაწილი დაბრუნდა სახლებში. სურსათ-სანოვაგე საკმარისად იშოვება ქალაქში და იყიდება ყველაზე. გირვანქა შავი პური ღირს შვიდნახევარი კაპეიკი. ბევრია ხილეულობა. უკვე რამდენიმე დღეა რაც ქალაქის ბაღში სამხედრო კოოპერატივმა გახსნა განყოფილება, რომელიც მოთავსებულია კარავში. გუშინ ...კომის შენობა და ქალაქის განაპირა უბნებში მოთავსებული ბანაკები. გუშინვე საღამოს და ათვალიერა მან მთელი რიგი სოფლებისა, სადაც წარმოებს დაზარალებულთა დასახმარებელი მუშაობა. დაწვრილებით გაცნობებთ ფოსტით.

ლენინაკანი, 26 ოქტომბერი. დახმარების მიღება გრძელდება. მოვიდა სააღმშენებლო მასალის პირველი პარტია. მასალა იგზავნება სოფლებშიაც. მოდის კარვები. რკინის გზამ დაზარალებულთათვის დაუთმო რამოდენიმე ათეული ვაგონი, რომლებშიაც მოთავსებული იქნებიან პროფკავშირთა წევრები, რკინის გზელები და მოქალაქენი.

საუბარი ამხ. გ. კუჭაიძესთან

გუშინწინ ლენინაკანიდან თბილისში დაბრუნდა საქართვ. ჯანსალკომი და ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი ამხ. გრ. კუჭაიძე, რომელიც როგორც ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე საგანგებო კომისიის წევრი, მივლინებული იყო ლენინაკანში. ამხ. კუჭაიძემ ჩვენს თანამშრომ...

...მსხვერპლისა, აქ დასწყდა დიდძალი საქონელი. სულ ყველა მომქმედ სანიტარულ რაზმებისაგან დღემდე მიღებულ ცნობებით ქალაქსა და სოფლებში დაღუპულთა რაოდენობა 350—360 კაცს აღწევს. მძიმეთ და მსუბუქად დაჭრილია 500 კაცი.

უბინოთ დარჩენილია რამოდენიმე ათეული ...

...რული მატარებელი სათანადო საექიმო რაზმებით, რომლებიც იმ დღესვე გაიგზავნა ჩვენთან ერთად მეტად დაზარალებულ სოფელ—ოსმალეთის კარაკლისში. აქ პირველი საექიმო დახმარება მივაწოდეთ 50 დაჭრილებს. ამოთხრილ იქნა 50 დაღუპულთა გვამი.

მეორე დღეს, ე. ი. 24 ოქტომბერს, გაიგზავნა სამუშაოზე ხუთი სანიტარული რაზმი, შემდეგ სოფლებში:—დაგარლი, ალექსანდროვკა, ყაზარაბად, დოკშან-ქიშლა, ქიალალი და კაპურული. ამათ გარდა, მიეწოდა საექიმო დახმარება საქართველოს წითელი ჯვრისაგან სოფ. ბაიანდურსა და არალახს.

აღნიშნული სოფლები მეტად დაზარალებული იყო მიწისძვრისაგან. გარდა ადამიანთა ...

...ლები დროებით სადგომების მოსაწყობათ. ამ თავითვე საჭიროა სპეციალურ ტეხნიკურ კომისიის შედგენა ახალი ტიპის შენობების ასაგებათ, —ისე, რომ შენობებმა წინააღმდეგობა გაუწიონ მიწისძვრის მოვლენებს.

უნდა იქნეს მიღებული ზომები შესაძლებელ ეპიდემიების და გადამდებ ავადმყოფობების წინააღმდეგ. სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს ქალაქის და სოფლების ანტისანიტარულ მდგომარეობის ლიკვიდაცია. ეხლავე საჭიროა ფარდულების მიწოდება კარავების მოსაწყობათ. სოფლები უნდა აღიჭურვონ მოძრავი სამზარეულოებით.

27 ოქტომბრიდან სომხეთის წითელი ჯვარი შეუდგება დაზარალებულ სოფლებში საკვები პუნქტების მოწყობას".

მოვემზადოთ სრულიად საკავშირო აღწერისათვის

მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერამდე, რომელიც გარდა მოუვალ მთიან ადგილებისა, 17 დეკემბერს დაიწყება მთელ საბჭოთა კავშირში, დარჩა ძლიერ ცოტა დრო. ამ დიდი საქმის წარმატებით ჩატარებისათვის მთავრობამ დღევანდელ ფინანსიურ ხელმოკლეობის პირობებში 12½ მილიონი გაიღო (მასალების დამუშავებისათვის-კი დამატებით კიდევ რამოდენიმე მილიონი დასჭირდება). უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსამზადებელ მუშაობის წესიერ წარმოებას.

საქართველოში სახელმწიფო სტატისტიკა მხოლოდ 1921 წ. იწყებს გზის გაკვლევას. მანამდე ჩვენში არავითარი სტატისტიკური ტრა...

საალწერო მასალის ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია საალწერო პერსონალის მომზადებაზე და ხარისხზე, ცხადია რომ პერსონალის აყვანას ფრიად სერიოზულად და დაკვირვებით უნდა მოეპყრან ადგილებზე. ქალაქებიდან მაზრებში ჩვენ არ შეგვიძლია ძალების გადაგზავნა, რადგან ეს დიდ ხარჯ. გამოიწვევს,მთელი სიმძიმე აღწერისა თავს დააწვება სოფლის ინტელიგენციას, რომელიც მთლიანად უნდა იქნას ჩაბმული ამ საქმეში. ინსტრუქტორები სათანადოთ უნდა იყვნენ მომზადებულნი და ისინი თავის რაიონებში მოამზადებენ რეგისტრატორებს ადგილობრივ ინტელიგენტურ ძალებიდან.

ძირითადი კადრი სოფლის ინტელიგენციისა, არის სოფლის მასწავლებლობა, რომელიც ...

...ტორების. თუ საშუალოდ თითო რეგისტრატორმა ქალაქში უნდა შეავსოს 70 ბარათი და სოფელში 30 ბარათი ყოველდღიურად, მაშინ საჭირო იქნება მთელი რესპუბლიკით ქალაქად 1.177 და სოფლად 2.862 რეგისტრატორი. სულ 4,039 რეგისტრატორი. ქალაქებისთვის საჭირო იქნება 98 ინსტრუქტორი, სოფლებისთვის 286, სულ 384 ინსტრუქტორი. ამრიგად ეს არმია რეგისტრატორების და ინსტრუქტორებისა ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოს გარდა 4.428 კაცისაგან შესდგება.

...უნდა დამთავრდეს, არც აქ შეიძლება გადახრები. აღწერა ცენტრის მიერ შედგენილ ერთი გეგმით და ხელმძღვანელობით უნდა შესრულდეს. აქ საჭიროა სასტიკი დისციპლინა. ინსტრუქციების შეცვლა, თავისებური განმარტება სასტიკად იქნება აღკვეთილი.

აღწერას ადარებენ ხოლმე საომარ ასპარეზს და, როგორც ბრძოლის ველზე, ისე აღწერის დროს საჭიროა სასტიკი დისციპლინა.

ა. რუხაძე.

საბჭოთა კავშირი და სპარსეთი
(საუბარი სპარსეთის გენერალურ კონსულთან თბილისში — მოქ. აბას-ხან მახაჯერთან)

თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის ახალი გენერალური კონსული თბილისში.—მოქ. აბას-ხან მახაჯერი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში მოქ. აბას-ხან მახაჯერმა საბჭოთა კავშირის და სპარსეთის ურთიერთობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ამჟამად, სპარსეთის დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ფრიად გულწრფელი და მეგობრულია.

საგრძნობლად გაუმჯობესდა აგრეთვე სპარსეთის და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა.

რაც შეეხება სპარსეთის ეკონომიურ მდგომარეობას, იგი თანდათან უმჯობესდება. ამჟამად დიდი მუშაობა სწარმოებს რკინისგზების გასაყვანად, რისთვისაც უკვე გამოწერილია ამერიკელი ინჟენერები და კონსტრუქტორები.

დაწყებულია აგრეთვე მუშაობა სპარსეთის სახელმწიფო ბანკის გასახსნელად; ეს ბანკი ხელს შეუწყობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

უნდა აღვნიშნო, რომ ეხლანდელი მომენტი საშუალებას აძლევს სპარსეთის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს კიდევ უფრო განამტკიცონ გულწრფელი და მეგობრული პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობა ორივე სახელმწიფოებს შორის.

ასეთივე აზრი იქნა გამოთქმული საბჭოთა კავშირის რწმუნებულის მოქ. სლავუცკის მიერ თეირანში, როდესაც მე მას უკანასკნელად ვესტუმრე სრულუფლებიან წარმომადგენლობაში.

პროფ. სტაროსტინი თბილისში

გუშინ საქართველოს სამხედრო გზით კავკასიიდან თბილისში ჩამოვიდა ლენინგრადის მეორე პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და სახელმწიფო ოპტიკური ინსტიტუტის პროფესორი—ინჟენერი სტაროსტინი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს პროფ. სტაროსტინმა განაცხადა შემდეგი:

— მე ამჟამად მოვდივარ კისლოვოდსკიდან. მივემგზავრები სოხუმში, სადაც გავატარებ შვებულებას. თბილისში მე არავითარი სპეციალური დავალება არ მაქვს, მაგრამ ვინაიდან ჩემი ჩამოსვლა მოხდა იმ დროს, როდესაც მიწისძვრამ საშინელი უბედურება მიაყენა მეზობელ ლენინაკანს, განზრახვა მაქვს შევისწავლო, თუ რა სახის მიწისძვრას ჰქონდა ადგილი ლენინაკანში და როგორ არის დაყენებული თბილისში მიწისძვრის გამძლე სახლების აგების საკითხი.

მეცნიერებაში მიწისძვრა ცნობილია ორგვარი: პორიზონტალური და ვერტიკალური, ამას გარდა ადგილი აქვს კიდევ მიწის ზედა ფენის ...

...წელს თურქესტანისთვის შემუშავებული იქნა ასეთი სახლების პროექტი, რომლის მიხედვით უკვე აგებულია რამოდენიმე სახლი.

ამ სახლების დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის, რომ ისინი აგებულია სპეციალურ ჩარჩოზე, ეს უკანასკნელი კი დადგმულია საძირკველზე. მიწისძვრის დროს სახლი გაცოცდება ჩარჩოზე და, ამრიგად, გადარჩება დანგრევას. ასეთი სახლები შეიძლება აგებული იქნეს მრავალსართულიანიც.

სახლების ასეთი ტიპები ამიერ-კავკასიისათვის არ არის შემუშავებული, რადგან აქ არ ყოფილა წარმოებული მუშაობა იმის შესასწავლად, თუ რა სახის მიწისძვრას აქვს აქ ადგილი. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მხოლოდ ამის მიხედვით შეიძლება სათანადო სახლების ტიპის გამომუშავება.

ეს საკითხი, სხვათა შორის, დასმული იქნება ხუროთმოძღვართა მომავალ ყრილობაზე, რომელიც შეიკრიბება ხარკოვში 1927 წელს. ...

„სელმაშ"

...

ისტორიული ძეგლი

მიმდინარე წლის ზაფხულზე ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დავალებით არქეოლოგმა გორდეევმა მოახდინა ისტორიულ ძეგლის-სამთავისის ტაძრის გამოკვლევა. ...

მოსავლის დღე

...

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გაფლანგვა

ქუთაისი, 27 ოქტომბერი. საქართველოს სახალხო მეურნეობის ლეჩხუმის რაიონის ტყის ტრესტის გამგემ ვ. კაპანაძემ, მისმა თანაშემწემ ი. ჩხეიძემ და იმავე რაიონის შუშის დამამზადებელმა გ. კომახიძემ მიითვისეს დამზადებულ შუშის გაყიდვიდან აღებული ფული. გაფლანგულია 1,290 მან. საქმე გადაეცა დასავლეთ საქართველოს პროკურორს.

ხანძარი ტყეებში

თელავი, 27 ოქტომბერი. კავკასიის მთავარი ქედის აღმოსავლეთ ... ტყეებს ცეცხლი ეკიდება. ხანძარი აქ ჩვეულებრივი მოვლენაა, განსაკუთრებით გვალვიან პერიოდში. ...

ამინდი

თელავი, 27 ოქტომბერი. ორ კვირაზე მეტია, თბილი და მშრალი ამინდი დგას. საშემოდგომო ხვნა-თესვა მუშაობის შეუძლებლობის გამო შეწყვეტილ იქნა.

ხელისშემწყობ ამინდის გამო მაზრაში დიდი აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს.

გორის საკონსერვო ფაბრიკა

გორი, 27 ოქტომბერი. გორის საკონსერვო ფაბრიკამ უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში დაამუშავა 700 ფუთი ხილი და 28.000 ფუთი მწვანეული. საშუალოთ თვეში 116 მუშას დაუ...

წერილები

...

მიუხედავად ასეთი ბუნებრივი სიმდიდრისა, სოფელი ეკი ძლიერ ჩამორჩენილია. მას აფერხებს უგზოობა, მიმოსვლა დიდ გაჭირვებას წარმოადგენს. ასეთი მდგომარეობა ადვილად იქნებოდა დაძლეული, რომ სენაკის და ეკის თემები ერთმანეთის ჯიბრს არ უწევდენ.

საკმარისია, ეკის თემმა იკისროს გზის შეკეთების ინიციატივა და სენაკის თემიც გვერდში ამოუდგეს მას, რომ გზა ერთ თვეში გაკეთდეს. ვინაიდან გასასწორებელი გზა არ აღემატება ... ლური, ამისთვის საჭიროა, როგორც კაცების, აგრეთვე ხარ-კამეჩების მუშაობა.

ერთი თვის მუყაითი მუშაობით გაკეთდება მშვენიერი გზა. გზის შეკეთებისთანავე დიდი შეღავათი ეძლევათ ეკში მცხოვრებ გლეხებს. რაც სენაკი იზარალებს, სოფლიდან ჩამოტანილი სანოვაგე გაძვირდება სენაკის ბაზარში.

საჭიროა ორივე თემების აღმასკომების გამოფხიზლება. ისინი ჯიუტობის გამო სალათას ძალს მისცემენ.

ლევან გუნია.

მუშათა ცხოვრება

„კომუნისტი"-ს მუშკორთა კიდევ ერთი ექსკურსია.

23 ოქტომბერს მოეწყო გაზეთ „კომუნისტის" მუშათა ცხოვრების განყოფილების გამგის ხელმძღვანელობით მუშკორთა მასიური ექსკურსია. შუა ბაზრის (ყოფ. სომხის ბაზრის) და ორთაჭალის დასათვალიერებლად. მუშკორებმა თავი მოიყარეს ნაშუადღევის სამ საათზე ყოფ. პუშკინის ბაღში. იქ გადავიღეთ სურათი და 3½ საათიდან უკვე შევუდექით შუა ბაზრის დათვალიერებას.

მრავალს ექსკურსიებს შორის, რომელიც მოწყობილ იქნა ჩვენი რედაქციის მიერ თბილისის სხვადასხვა მუშათა უბნებში, ამ დღეს მოწყობილ ექსკურსიას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის. აღნიშნულ ექსკურსიის საშუალებით მუშკორებმა თავის თვალით დაინახეს და გაიგეს თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია აღმასრულებელი კომიტეტის ...

...სიის კუთხე დააბლოებით ერთი ... გამოწეული წინქუჩაზე. ტროტუარი ორივე მხრიდან ებჯინება ამ კედელს, რაც ქუჩას აუშნოებს და ხალხს გავლაც არ შეუძლია. გამვლელმა გვერდი უნდა აუხვიოს ამ ეკლესიას და გადავიდეს შუა ქუჩაზე, მეორე მხარეზე, რაც ტრამვაის მოძრაობის დროს სახიფათო იქნება. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ ან ამ შენობის კუთხე ჩამოჭრილ იქნეს, (თუ ეს ზიანს არ მოუტანს მას, როგორც ისტორიულ ნაშთს) ან და წინააღმდეგ შემთხვევაში შიგ კედელში ტროტუარის ზომის გვირაბი გამოჭრილ იქნეს, რადგანაც ინჟენერთა აზრით ასეთი დასაშვებია ტეხნიკურად. ამას აღმასკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამას გარდა, აქ ბევრი სახლებია მოძველებული, რომლებიც დღეს თუ ხვალ წაიქცევა. ასეთი ქოხმახები საჭიროა დაინგრეს და აღებულ ...

პროფკავშირებში

...

აფხაზეთის ცაკის მესამე სესია

ამხ. ლაკობას მოხსენება

სოხუმი, 27 ოქტომბერი. ახალი ბიუჯეტი, წარსულ წლების ბიუჯეტიდან იმით განსხვავდება,—ამბობს ამხ. ლაკობა,—რომ ეხლა მეტი ყურადღება აქვს მიქცეული კულტურულ და ეკონომიურ მოთხოვნილებებს, ვიდრე ადმინისტრატიულ აპარატს. შემოსავლის საორიენტაციო ციფრი შეადგენს 2.986.827 მანეთს, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით 1.611.597 მანეთი და ადგილობრივით—1.374.830 მანეთი. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესდგება აფხაზეთის სახკომისარიატის შემოსავლებიდან—558.619 მან. რაოდენობით, ამიერ-კავკასიის გაერთიანებული სახ. კომისარიატების შემოსავლ...

...სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებათათვის—627,016 მანეთი, ადმინისტრატიული საჭიროებისათვის—355.906 მანეთი და სხვა დანარჩენ საჭიროებებზე 211.975 მანეთი.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საგზაო მშენებლობას. გზების შეკეთებისთვის საჭიროა 183.000 მანეთი, აქედან კავშირის უმაღლეს ორგანოებიდან გამოთხოვილია 90.000 მანეთი.

ბიუჯეტის გარეშე, საკავშირო ცენტრიდან მიღებული თანხები. გზებისათვის—700.000 მანეთი, აფხაზეთის თამბაქოს მრეწველობისათვის—100.000 მანეთი, ...

...

ზომები დანგრეულ რაიონების აღსადგენად
(საუბარი ამხ. ლევაშოვთან)

ლენინაკანში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ ა.-კ. რკინის გზათა გამგეობის წევრმა ამხ. ლევაშოვმა, რომელიც განაგებს რკინის გზის მუშების დაზარალებულთა დახმარების საქმეში, ჩვენს თანამშრომელს განაცხადა შემდეგი:

— უკანასკნელი სარწმუნო ცნობებით ლენინაკანის რაიონში უბინაოთ დარჩენილა 80 ათასი მოქალაქე. ამიტომ ამჟამად დახმარების უპირველესი მიზანი უნდა იყოს დაზარალებულთათვის სააღმშენებლო მასალების მიწოდება და საბინაო აღმშენებლობის დაწყება.

ამ მიზნით მოსკოვიდან უკვე გამოვითხოვეთ 500 ათასი ფუთი სახურავი რკინა. ამასთანავე გავგზავნით ხე-ტყის მასალას და ხის მოხელეებს.

დროებითი ბინების ასაგებათ გაგზავნილია კიდევ 250 ტილოს კარავი.

საქართველოს ცაკთან დაარსდა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისია ს. თოდრიას თავმჯდომარეობით. ასეთივე კომისია დაარსებულია აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოსთან, რომელმაც უკვე გადასდო ასი ათასი მანეთი.

უნდა ვიიმედოთ, რომ ახლო ხანში პროლეტარული გაერთიანებული ძალებით შევსძლებთ მოვაშუშოთ ის ტკივილები, რომელიც სტიქიამ მიაყენა სომხეთის მშრომელ ხალხს.

დავეხმაროთ დაზარალებულებს

თანახმად ამხ. ტერ-ვართანოვის გამოწვევისა შემოგვაქვს ათ-ათი მანეთი სომხეთში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ და ვიწვევთ ქვემოთ აღნიშნულ ამხანაგებს: ...

ხ. ლორაძე, ი. გელაშვილი.

საქართველოს ობსერვატორიის ცნობა

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების ცნობით გუშინწინდელი კატასტროფული შორი მიწისძვრა კვლავ გრძელდება.

თბილისის ობსერვატორიას ქაირიდან ატყობინებენ, რომ მიწისძვრა ქაირიდან დაშორებულია 9.400 კილომეტრის მანძილით.

ამერიკის სამუზ. მუშაკები

27 ოქტომბერს, ნიუ-იორკის ჯაზ-ბენდის ... და ბიუროს ... ლუ-შელლერმა ინახულეს საქ. ცაკი, ...

გამძლე შენობები

27 ოქტომბერს, თბილისში ჩამოვიდა ლენინგრადის მე-2 პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და სახელმწიფო ოპტიური ინსტიტუტის პროფესორი ინჟენერი სტაროსტინი, რომელმაც ამ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

„ლენინაკანში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით მე განზრახული მაქვს შევისწავლო ამიერ-კავკასიაში გამძლე შენობების აგების საკითხი. მეცნიერებმა იცის მიწისძვრის ორი სახე: —ჰორიზონტალური და ვერტიკალური. ...

ბამბა

...

მიწისძვრა ყარსში

...

„ზ ა ჰ ე ს ი“

დროებითი ნაშენების ლიკვიდაცია

ზაჰესის სააღმშენებლო მუშაობის დამთავრების გამო ზაჰესის სამმართველო ამჟამად აწარმოებს დროებით და დამხმარე ნაშენობათა და მოწყობილობათა ლიკვიდაციას და დარჩენილ ქონების აღრიცხვას. ამ მუშაობას აწარმოებს სამმართველოსთან მოწყობილი სპეციალური კომისია. ზოგიერთი ნაშენობანი შეისყიდა თბილისის აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ახალ წყალსადენის საჭიროებისათვის, ზოგი კი სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებმა.

ტეხნიკურ ანგარიშების შედგენა

სამმართველო ამთავრებს აგრეთვე ტეხნიკური ანგარიშის შედგენას სადგურების სხვადასხვა ნაშენობათა ღირებულების გამოსარკვევად. ანგარიშის შედგენის დამთავრების შემდეგ გამორკვეულ იქნება სისწორით თუ რა დაჯდა ესა თუ ის სამუშაო და სხვადასხვა ნაშენი.

ამავე დროს სწარმოებს დაგროვილი მასალის სისტემაში მოყვანა: მუშავდება ნახაზები, განმარტებითი ფურცლები და სხვ.

ამასთან ერთად სამმართველომ ჩაატარა ზაჰესის დროებითი შტატის შემცირება. დატოვებულ იქნა მხოლოდ ტეხნიკური პერსონალი ზაჰესის საბოლოოდ დასამთავრებლად.

მტკვარის ადიდება

გუშინ ზაჰესში გაემგზავრა მთავარი კაშხალის მიმღები სპეციალისტთა კომისია, რომელშიაც შედიან სამუშაოთა უფროსის თანაშემწე ინჟ. მელიქ-ფაშაევი, სამუშაოთა მთავარი მწარმოებელი ინჟ. მიქელაძე, სატეხნ. განყოფილების უფროსის თანაშემწე ინჟ. ჩიქოვანი, ფარსადანოვი, სოლოვიოვი და გერმანელი ინჟენერი დოუზნერი.

კომისიამ გუშინ მოახდინა კაშხალის ფარების შემოწმება, რისთვისაც ფარებში გაშვებულ იქნა წყალი. ამის გამო მტკვრის დონემ მდინარეში საკმაოთ აიწია.

ეს იყო გუშინ მტკვარის ადიდების მიზეზი, რომელსაც თან დაერთო ის გარემოება, რომ გუშინწინლამ მტკვრის სათავის ტერიტორიაზე მოვიდა წვიმა და ამის გამო წყალი აიმღვრა.

საკავშირო აღწერისათვის

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის [illegible]

მცველი ზღვის ნაპირების გამოკვლევა

[illegible]

ძველი სურათის აღმოჩენა

[illegible] წარმოადგენს დიდ ისტორიულ მნიშვნელობის ძეგლს. სურათზე გადმოცემულია „რუსეთის ჯარის პირველი შემოსვლა თბილისში 1801 წელს“.

არქივში სურათის არსებობის შესახებ არავინ იცოდა და იგი მიგდებული იყო ძველ ქაღალდებში. მოუვლელობის გამო სურათი დაზიანებულა.

სურათი გადაეცა თბილისის ქალაქის მუზეუმს.

ქრონიკა

ოქტომბრის დღესასწაულისათვის

თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა შეადგინა განსაკუთრებული კომისია ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარებისათვის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის საწარმოებლად. კომისიაში შედიან: ამხ. ლადო სუხიშვილი (თავმჯდომარე) ასრიბეკოვი, ფანცხავა, ქაცარავა, სალუქვაძე, ივანოვი, აბაშიძე, კიდაიში, ბარსეგოვი და ვართაპეტოვი.

ამერიკელი ექიმების გამგზავრება

გუშინ ნიუ-იორკის პროფესიონალურ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორმა ბორნშამმა და ამავე ინსტიტუტის მდივანმა ლუ შელლერმა დაათვალიერეს თბილისის მთელი რიგი სამკურნალო დაწესებულებები, რის შემდეგაც ესტუმრენ პროფსაბჭოს და საქართველოს ცაკს, სადაც საუბარი ჰქონდათ ამხ. ხ. თოდრიასთან.

სალამოს სტუმრები გაემგზავრენ ბაქოში.

ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტის გახსნა

კვირას, დღის 12 საათზე, მოხდება ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტის საზეიმო გახსნა, რომელზედაც მიპატიჟებული არიან სხვადასხვა ორგანიზაციების და პრესის წარმომადგენლები.

ინსტიტუტი მოთავსებულია ორჯონიკიძის (ყოფ. ანდრეევის) ქუჩაზე № 30.

დისპუტი

„ქორწინების და ოჯახის ახალი კანონის შესახებ“.

დღეს, სალამოს 6 ნახ. საათზე ქალთა კლუბში (კომინტერნის ქ. № 5) საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების ცენტრალური გამგეობა აწყობს დისპუტს თემაზე: „ახალი კანონი ქორწინების და ოჯახის შესახებ“.

მომხსენებელია ამხ. ხანკალამოვი. დისპუტში მონაწილეობის მასალებად მოწვეული არიან: მარიამ ორახელაშვილი, ნინა მახარაძე, შაჟერდოვა, კიდაიშ, მედვედიევი, ენუქიძე, თალაკვაძე, მიხაილოვა, შელმაკი, თენეიშვილი, ნარიმანოვი, კუსიკოვი, ზედგინიძე.

შესვლა კლუბის და საბჭოთა მუშაკების პროფკავშირების წევრთათვის უფასოა.

ახალი სახელმწიფო სესხი

ახალი სახელმწიფო სესხის ობლიგაციების პარტია თითქმის სულ გასაღებულია. ვასაღებ[illegible] აგრეთვე ობლიგაციების მეორე პარტიის დიდი ნაწილი.

ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ ამიერ-კავკასიაში გასაღდება ნახევარ მილიონზე მეტი მანეთის ობლიგაციები.

[illegible]

24 ჭრილობა

გუშინ, სალამოს, ვიღაც ბოროტმოქმედების მიერ დაჭრილი იქნა იაკობ სტეფანოვი და ნიკოლოზ ბაღდასაროვი.

სტეფანოვს დანით მიყენებული აქვს 24 ჭრილობა, ხოლო მოქ. ბაღდასაროვი დაჭრილია მსუბუქათ.

დაჭრილნი მოთავსებულნი არიან საავადმყოფოში.

ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

◆ **მოტაცება.** ერწოს თემმილიციის ფარგლებში სოფ. ნადოკლარში ვანო ქავთარაძეს მიუხტენ მიხა ბექაური, არჩილ ჰოლიკაური, მიტრო წიკლაური და დათიკო ლავრელაშვილი და მოსტაცეს ქალიშვილი. ოთხივე დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **ქურდობა.** უდელის ქ. № 11 გაქურდეს ელენე ჩივოგიძის ბინა.

◆ ამავე დღის თათრის ბაზარზე გაქურდეს ალექსი ქობულაშვილი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

კარმენ

ოპერის მთავარ პარტიების შემსრულებელნი პირველად გამოდიოდენ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. მოქმედ პირთა არტისტული სახე სავსებით გამოირკვა მხოლოდ მე-2-ე აქტის შემდეგ. იმ გარემოების გამო, რომ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, 1 აქტის ყველა შესანიშნავი ადგილები დაიჩრდილა. მაგალითად, კარმენის პარტიის შემსრულებელი (წკიბიცკაია) თავისებურათ უდგება კარმენის როლს და სცენიურ სახის პირველ და დანარჩენ აქტებში. თუმცა მერიმეს რომანის მიხედვით კარმენი „ქუჩის შვილია“, მაგრამ შეუძლებელია მისი მხოლოდ ვულგალურ და უხეშ ხერხებით განხორციელება, როგორც ამას სჩადის სკიბიცკაია. მსახიობი ქალი მხოლოდ მეორე აქტიდან დაადგა სწორ გზას, აქ უკვე ბევრი იყო ტემპერამენტიც, ლამაზი სახეები, ყოველგვარ ვულგარობას მოკლებული. შემდეგში მომღერალმა ქალმა ასევე კარგად ჩაატარა პარტია ბოლომდე. ძალიან მოხდენილი იყო გრიმი, კარგი იყო კოსტიუმიც. ყველაზე შესანიშნავი ეს ის არის, რომ მომღერალი ქალი თავისუფლად ხმარობს ხმას, იძლევა ბევრ ნიუანსებს, განცდას, დრამატიზმს. შესრულების საუკეთესო ადგილებია: „რჩევა“, ფინალური სცენა ხოზესთან და მე-4-ხე აქტის სცენა ესკამილიოსთან.

ვიტინგიც (დონ-ხოზე) მხოლოდ მეორე აქტის შემდეგ იყო თავის სიმაღლეზე. მე-2-ე აქტის არია მგრძნობიარეთ და მუსიკალურად იყო შესრულებული. ბევრი იყო ნიუანსებიც. არიებს კულისებში არ ესაჭიროება ასეთი ხაზგასმული ფრაზიროვკა.

კარგია დუეტი მიკაელასთან, მთელი ფინალური სცენა კარმენთან, მაგრამ საუკეთესო სცენა შესრულებაში, ეს იყო დიალოგი კარმინთან უკანასკნელ აქტში. გრიმიც შესანიშნავი იყო.

ესკამილიოს პარტიაში გამოვიდა გორელოვი. აქ თავიდან ბოლომდე არტისტი ლამაზად მღეროდა. კუპლეტები აღფრთოვანებით იყო შესრულებული, არტისტი თვითონაც გატაცებული [illegible]

სახელმწიფო დრამა

„ზაგმუკ“.

დღეს იხსნება ქართული სახელმწიფო დრამის 1926-27 წლის სეზონი. მიდის ანატ. გლებოვის ისტორიული პიესა—„ზაგმუკ“.

ავტორს მოქმედების განვითარება ხანათ აღებული აქვს ასურეთ-ბაბილონის ეპოქა, ის დრო, როდესაც ბაბილონი დაპყრობილი აქვს ასურეთს.

ზაგმუკი—ეს არის ვაზაფხულის დღესასწაული (ჩვენებური ყეენობა), რომელშიაც მრავალი იყო დრამატიული ელემენტი. დღესასწაული გრძელდებოდა დახლოვებით 11 დღე.

ზაგმუკი საინტერესოა კიდევ იმით, რომ იმ დროს იყო ჩვეულება დღესასწაულის მთელი დროისათვის აერჩიათ სახუმარო მეფე.

პიესის სიუჟეტათ აღებულია ძალა-უფლების ხელში ჩაგდება რევოლიუციონურად განწყობილ მონების მიერ.

პიესა მეტად მოხერხებულად არის დაწერილი. იგი გადათარგმნილია გერმანულ ენაზე და განზრახულია დაიდგას ბერლინის სახალხო სახლში; ამას გარდა პიესა გადათარგმნილია უკრაინულ, სომხურ, თათრულ და სხვა ენებზე. ქართულად პიესა სთარგმნა პოეტმა ხანდრო შანშიაშვილმა.

„ზაგმუკ“-ი პირველად დაიდგა მოსკოვის მცირე თეატრში 1925 წ. (დადგმა რეჟისორ ვოლკონსკის); ქართული აკადემიური დრამის გარდა, ეს პიესა შეტანილია ერევანის სახელმწიფო დრამის და სხვა თეატრების რეპერტუარში.

პიესას სდგამს რეჟისორი ალ. ახმეტელი. დეკორაციების კონსტრუქცია და კოსტიუმები შესრულებულია მხატვარ ირ. გამრეკელის ესკიზებით.

პიესისათვის დაწერილია სპეციალური მუსიკა ახალგაზრდა კომპოზიტორ ი. ტუსკიას მიერ.

მთავარ როლებს ასრულებენ: ნ. დავითაშვილი, თ. ჭავჭავაძე, თ. წულუკიძე, უშანგი ჩხეიძე, აკ. ვასაძე, აკ. ხორავა, შალვა ღამბაშიძე, მიხ. ლორთქიფანიძე, გ. სარჩიმელიძე, პლ. კორიშელი და სხვები.

ზ.

◆ **„გოფმანის ზღაპრები“.** დღეს ოპერაში მიდის „გოფმანის ზღაპრები“ მომღერალ ქალის ნინა კარგარეთლის მონაწილეობით.

◆ **პუშკინი ქართულ ენაზე.** გრიგოლ ცეცხლაძემ ქართულად თარგმნა პუშკინის „ევგენი ონეგინი“.

◆ მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიას თბ. აღმასკომმა ერთდროული დახმარების სახით გადასცა 500 მან.

[illegible]

ნარევი

[illegible]

შემთხვევები

[illegible]

სასამართლო

[illegible]

იურიდიული დახმარება

[illegible]

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 36 *)

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სისხლის სამართლის კოდექსის 78, 79 და 80 მუხ. შეცვლისა, იმავე კოდექსისათვის 80^1 და 80^2 მუხლის დამატებისა და 79^1 მუხლის ამოშლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 78, 79 და 80 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 78. სახელმწიფო თუ ადგილობრივ გადასახადისა ან გამოსაღების გაღებაზე ან კანონიერად შემოღებული ბეგარის მოხდაზე წინასწარი შეთანხმებით მასსიური უარის თქმა გამოიწვევს:

წამქეზებლისა, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორისათვის — თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა მკაცრი იზოლიაციით და თანაც ჯარიმას შეწერილი გადასახდელის და ბეგარის ორმაგი რაოდენობით, ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში — მთელი ქონებისა ან მისი ნაწილის კონფისკაციას;

დანარჩენ მონაწილეთათვის—

ჯარიმას იმავე გადასახდელისა და ბეგარის რაოდენობით

მუხ. 79. სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახდისა და გამოსაღებისა, ან სავალდებულო სეგადასახადო დაზღვევის გადასახდელის ღაღაზე ვალდებულობა იმის მიუხედავად, რომ ღონისძიება ჰქონდა მათი გადახდა, უკეთუ მას უკვე შეეფარდა გადაუხდელობის ღონისძიება მით, რომ გასულ საშემოსავლო წელს—თუნდაც ერთხელ, ხოლო მიმდინარე საშემოსავლო წელს ორჯერ, აუწერეს ან საჯარო ვაჭრობით გაუყიდეს აწერილი ქონება, გამოიწვევს

პირველად — ჯარიმას იმავე გადასახდელის რაოდენობით;

მეორედ — თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას იმავე ბეგარის და სამუშაოს რაოდენობით.

მუხ. 80 ურთიერთ შეთანხმებით მოწყობილი გადამალვა გადასახად - დასადები ან აღსანუსხი საგნებისა, ან ამ საგნების რაოდენობაზე ტყუილი ცნობების მიცემა გამოიწვევს:

წამქეზებლისა, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორისათვის — თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა ქონების ნაწილის კონფისკაციით ან უამისოდ.

დანარჩენ მონაწილეთათვის — ჯარიმას არა უმეტეს გადასახდელის ორმაგი რაოდენობისა ან გადამალული საგნის ღირებულებისა.

II

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 80/1 და 80/2 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 80/1 ცალკე პირის მიერ გადამალვა გადასახად დასადები ან აღსანუსხი საგნისა ან ამ საგანზე წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობის მიცემა, უკეთუ სპეციალური დებულებით არ არის გათვალისწინებული სხვა რამ შედეგი, გამოიწვევს—

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ფულად ჯარიმას არა უმეტეს გადასახდელის ორმაგი რაოდენობისა ან გადამალული საგნის ღირებულებისა.

მუხ. 80/2 თავის არიდება საფინანსო ორგანოს მოთხოვნით ცნობის წარდგენისაგან ან წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობის მიცემა ზენარჩენის ქონების შესახებ იმ კერძო პირის მიერ, ვისთვისაც ამ ქონებაზე ცნობების მიცემა სავალდებულოა და ვინც იმავე დროს ეს ქონება იცის გამოიწვევს

იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

III

სისხლის სამართლის კოდექსის 79/1 მუხლი ამოშლილ იქნეს.

[illegible]

*) [illegible]

1926 წ. ოქტომბრის 22.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

[illegible]

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედი აცხადებს, რომ ყველა სტუდენტები ეკონომიურ ფაკულტეტისა, წევრები და კანდიდატები ა. ლ. კ. კავშირისა ვალდებულნი არიან გატარდენ აღრიცხვაზე ერთი კვირის განმავლობაში ამხ. სარდიონ ხუციშვილთან. აღრიცხვა იწარმოებს დღის 1 საათიდან 3 საათამდე. ის ამხანაგები, ვინც აღრიცხვაზე არ გატარდებიან ჩაითვლებიან კავშირიდან მექანიკურად გასულათ.

კომკავშირის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს იმ უჯრედებს, რომლებსაც არ მიუღიათ რაიკომის მუშაობის გეგმები ა.-წ. ოქტ., ნოემბ. და დეკემბრის თვეებისა, უნდა გამოცხადდნენ ქალაქის რაიკომში ასეთების მისაღებათ.

ს. კ. პ. ცენტრ. საკონტრ. კომისია წინადადებას აძლევს ივანე კარაპეტოვს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში 28-29 ოქტომბერს (რუსთაველის გამზირი № 24, მესამე სართული)

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა—მინა, მამა—თეოფილე, ძმები: გიორგი, ვასილი, ვალერიან და აკაკი. და თამარა. ბიძები—შალვა და მათე შათირიშვილები. ბიცოლები—ოლღა და შურა, რძალი ემელიანე. მამიდა მაშო და მისი მეუღლე გრიგოლ ღლონტი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დღეს, 27 ოქტომბერს, შესრულდა ორმოცი დღე ჩვენთვის ძვირფასის და დაუვიწყარ

შოთა თეოფილეს-ძე შათირიშვილის

გარდაცვალებიდან. გარდაცვალებულის მშობლები ულრმეს მადლობას უცხადებს იმ პირთ, ვინც დახმარება და თანაგრძნობა გაუწია ძვირფასი შოთას ავადმყოფობის და დასაფლავების დროს. ნ. 137

მ ი ი ღ ე ბ ა ხელის მოწერა გაზ. „კომუნისტზე“ ნოემბრისათვის

პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპას“ წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის.
10. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
13. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
14. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
15. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
16. ოჩემჩირი—ვ. სოხელიას განყოფ. გამგეს
17. სად. ბორჯომი—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
18. ბორჯომ-ბალი—იაშა ტერტეროვთან

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

0—1

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა წინადადებას აძლევს აგენტ გიორგი ჩაჩიბაიას

ორი დღის განმავლობაში გაასწოროს კანტორასთან ანგარიშები, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სათანადო ზომები.

მთავარი კანტორა.

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 3 ნოემბერს 1926 წ. სოფელ გლდანში საჯარო ვაჭრობით გაყიდის გაბო და გიო ვეშაპიძეების მოძრავ ქონებას ძროხებს, თხებს, ფარდაგებს და შკაფებს შეფასებულ 180 მან. დასაკმაყოფილებლად მიხეილ ოდიშვილისა ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 355

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 3 ნოემბერს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 14 ნეკრასოვის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის იაგორ იაგორაშვილის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას შეფასებულს 97 მანეთად, გრაფის ქ. № 14 წყლის კომისიის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 18 ივნისს 1926 წ. თარიღით, № 1942 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 359

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ა. წერეთლის ქუჩის შესახვევში სახლი № 30 დანიშნულია 15 ნოემბერს 1926 წ. დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობა რაფიელ, ბინიამინ, მიხეილ, სამუილ, დორა და მარო თოფჩიაშვილების ერთი სამ სართულიანი ქვიტკირის შენობის, რომელიც შესდგება 16 საცხოვრებელი ოთახისაგან და სამი სამზარეულოსაგან, შეფასებული 12332 მან. 50 კაპ.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი და ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. ნ. 139

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, გელათის ქუჩაზე № 153, დანიშნულია 17 ნოემბერს 1926 წ. დილის 10 საათზე სერაფიონ სიკოს-ძე, იგივე სიმონის-ძე მორჩაძის შენობის მეორე საჯარო ვაჭრობა ერთ-ერთ სართულიანი ქვიტკირის სახლის, რომელიც შესდგება ქვეშ სამი თვალი პალატისაგან და ზევით სამი თვალი საცხოვრებელი ოთახისაგან აგებული მიწაზე ზომით დაახლოვებით 700 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებულის 1500 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. 139

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 54825 —1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი. ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და სალამოს 5 აათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ე ქ ი მ ი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და სალამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—2

ქ უ თ ა ი ს შ ი ექიმი ჩეჩელაშვილი

იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9

მიღება დილის 8—12 საათ. სალამოს 6— 8 საათ. 25—2

დაკარგე სანგარიშო და დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 44, ალექსანდრე აბაზაძეს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 353

დაკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი ბენედიკტ ვაშალიძეს სახელზე, ჩ. გ. 357

დაკარგე სასწავლებლის მოწმობა № 258 გაცემული ქ. ზესტაფონის ცხრაწლედიდან და სამხედრო აღრიცხვის ბარათი, ივანე სეითისძე კიკნაძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 354

დაკარგე ღვინის ბანდეროლების დავთარი № 145, ნიკოლოზ მათეშვილის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 360

დაკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 913, ვარლამ სხვიტარიძის სახელზე, ჩ. გ. 361

აპოლო არჩესტო სოლეი

მეორე კვირა უკანასკნელი დღეები სეზონის საუკეთესო სურათი

აბრეკ-ზაურ

კინო მოთხრობა 10 ნ. კავკასიის ცხოვრებიდან

ანონსი: ამ დღეებში აყლაყუდა ბიძია

პირველად თბილისში ამერიკის კინოწარმოების ახალი სურათი

„ქორწინების კომედია“

მხატვ. დრამა 7 ნაწ.

მილტონ სილსის და მაბლ სკოტის მონაწილეობით

ანონსი: ამ დღეებში „СЕРДЦЕ ГОР“ მერი პიკფორდის მონ.

მეორე კვირა **„პროცესი 3 მილიონზე“**

საუცხოვო სურათი

ანონსი: ჩქარა „გადლანგვა“—რეჟ. პერესტიანის დადგმა

ნ. 1833 0—24

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 28 ოქტომბერს, მესამე აბონემენტის მეორე წარმოდგენა

პრემიერა **ჰოფმანის ზღაპრები**

ბოკოვას, გილბერტის, ვოლჩანეცკაიას, კარგარეთელის, კანცბურგის, მესხიაევის მონაწილეობით

პარასკევს, 29 ოქტომბ., სანდრო დოლონაძის პირველ გამოსვლისათ.

„ა ი დ ა“

აბონემენტების გარდა დარჩენილი ბილეთები იყიდება. ნ. 137

გამოვიდა და იყიდება

„წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“

თარგმანი ფრანგულით

გერონტი ქიქოძისა

ფასი 1 მან. 50 კაპ.

პ რ ო ფ ე ს ო რ ი მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა

და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა სალამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7.

ტელეფ. 14—56 13—1

358

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68